15/12/2025

MES 0 25 0001787276

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის
საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი,
სხდომის დაწყების დრო: 11:00
დასრულების დრო: 11:45
სხდომის თავმჯდომარე: ზურაბ ორჯონიკიძე
სხდომის მდივანი: მიხეილ გურგენიძე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით. საბჭოს სხდომა გაიმართა 2025 წლის 01 დეკემბერს.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ საბჭოს მუშაობის პროცესში მონაწილეობა მიეღოთ დისტანციურად.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. ზურაბ ორჯონიკიძე- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე, პროფესორი -სხდომის თავმჯდომარე;
2. მიხეილ გურგენიძე- შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში ასისტენტ - პროფესორი, სხდომის მდივანი;
3. მამუკა ხუსკივაძე- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
4. ლევან მიდოდაშვილი- სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
5. სერგო ჭელიძე- შპს საქართველოს ეროვნულუნი ვერსიტეტ სეუ - ს პროფესორი;
6. კონსტანტინე სირბილაძე- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. ივანე ჯაგოდნიშვილი- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. ნინო ჩინჩალაძე- ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
9. სალომე კუჭუხიძე - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი.

10. ნათიაზედგინიძე- ჯიშკარიანი - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;
11. რიმა ბერიაშვილი- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი)წარმომა დგენლები:

1. თათია მამრიკიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი:

1. კახი ყურაშვილი - ვიცე-რექტორი;
2. მედეა ჭელიძე - ვიცე-რექტორი;
3. ნინო სეფაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. სოფიო ფუთურიძე -ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი;
5. ნიკა დუდაშვილი - იურიდიული სამსახურის უფროსი;
6. ნანა ბიჩენოვი - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი:

1. მამუკა ალაფიშვილი - რექტორი, ასოცირებული პროფესორი;
2. გელა ბერიძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
3. ხათუნა ჯოხაძე - იურისტი;
4. ქეთევან ვაჩეიშვილი - ბხსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
5. სოფიო თავაძე - განათლების , ჰუმანიტარულ და სოციალ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
6. ხათუნა მანაგაძე - მუსიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
7. ერმილე მესხია - განათლების , ჰუმანიტარულ და სოციალ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. მაია ჭიჭილეიშვილი - სახცვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. სალომე ჩიკაშუა - საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი;
10. ნინო ხარჩილავა - სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
11. მირანდა ბაღდადიშვილი - სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და პროექტების მართვის განყოფილების უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპ ერტები):

შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი:

- სოკრატის კათსიკას (Sokratis Katsikas) -(თავმჯდომარე);
- ეკატერინე ბაკარაძე (წევრი);
- შოთა ფოთოლაშვილი(წევრი);
- ელენე გიგინეიშვილი(წევრი)
- თამთა ცხოვრებაძე(წევრი);
- მარიამ მაჭავარიანი(წევრი - სტუდენტი)

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- მარგარეტ ელიზაბეტ პოლოკ როსი (Margaret Elizabeth Pollock Ross)(თავმჯდომარე);
- თამარ ჩხეიძე(წევრი);
- ნინო ხაბეიშვილი(წევრი);
- დავით სიხარულიძე(წევრი);
- დიანა მჭედლიშვილი(წევრი);
- ნინო ღაჭავა(წევრი, სტუდენტი).

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 11:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზურაბ ორჯონიკიძემ (სხდომის თავმჯდომარე).
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის დაწყების დრო: 11:00
სხდომის დასრულების დრო: 11:45

1. შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს მიმართა დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განს ახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სოკრატის კაციკასმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი თავსებადია ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. არსებით შესაბამისობაში არის 2; 3; 4 და 7 სტანდარტთან, ხოლო მეექვსე სტანდარტი ნაწილობრივ არის შესაბამისობაში და არაცერთი სტანდარტი არ აღმოჩნდა ისეთი, რომელთანაც ინსტიტუცია არ იქნებოდა შესაბამისობაში.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, შოთა ფოთოლაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტი შედგა თბილისის ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში. მას რამდენიმე გარე შეფასება ჰქონდა ბოლო წლების განმავლობაში, მათ შორის, წინა წელს შეზღუდული ჰქონდა სტუდენტთა კონტინგენტის მიღება, თუმცა შემდგომ გარე ექსპერტიზის ფარგლებში აღნიშნული მონიტორინგი დასრულდა და დაერთო ნება იმ რეკომენდაციების შესრულების საფუძველზე, რაც მანამდე ჰქონდა და აღიდგინა სტუდენტთა ნაკადის მიღება. ზოგადად, უნივერსიტეტის ნაწილში გამოიკვეთა არაერთი რეკომენდაცია. განსაკუთრებით მეექვსე სტანდარტში. უნივერსიტეტის პროფილიდან გამომდინარე ის ძირითადად ორიენტირებულია საგანმანათლებლო მიმართულებაზე და არა სამეცნიეროზე. დაწესებულებას ჰქონდა დიდი გამოწვევები, რადგან სტუდენტთა მიღების შეზღუდვა აისახა ფინანსურ ნაწილზე და ასევე მატერიალურ-ტექნიკურ კომპონენტზე, თუმცა უნივერსიტეტის მენეჯმენტი და პერსონალი მკაფიოდ უჭერს მხარს დაწესებულების ოპერირებას საგანმანათლებლო სივრცეში. ფინანსური კომპონენტი რეჩება გამოწვევად, თუმცა უნივერსიტეტს აქვს რესურსი გააგრძელოს აკადემიური საქმიანობა. ცხადია, გასავითარებელია არაერთი მიმართულება, თუმცა ეს ზუსტრად აღწერს იმ სტანდარტების შესაბამისობას, რაც წარმოდგენილი იყო. აღინიშნა ისიც, რომ უნუვერსიტეტში ინფრასტრუქტურული ნაწილიც გაუმჯობესებულია. მათ შეცვალეს ბევრი რამ და რეგულაციის მოთხოვნებთან მოვიდნენ თანხვ ედრაში.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ელენე გიგინეიშვილმა მიმესალმა საბჭოს წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა რომ ის იყო პასუხისმგებელი საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილზე და რომ კითხვების არსებობის შემთხვევაში ის მზად იყო პასუხებისთვის.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულებას არ წარუდგენია პოზიცია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
სხდომის თავმჯდომარემ, ზურაბ ორჯონიკიძემ, გამოაცხადა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 11:14
დასრულების დრო: 11:17
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ჰუმანიტარული უნივერსიტეტისთვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების (უნივერსიტეტი), ორი წლის ვადაში მონიტორინგის განხორციელების პირობით და სტუდენტთა ადგილების სრული ზღვრული რაოდენობის 730-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მ ო მ ხ რ ე : 1 1
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის და მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტს (ს/კ: 2060 46045) მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) 6 წლის ვადით 2 წლის ვადაში მონიტორინგის განხორციელების პირობით და სტუდენტთა ადგილების სრული ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 730-ით.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

R.1.2.1. რეკომენდებულია, 3 წლიანი სამოქმედო გეგმა გამდიდრდეს და დაემატოს შუალედური, შესრულების ძირითადი ინდიკატორების სამიზნე ნიშნულები და ამოცანებისთვის / აქტივობებისთვის განსაზღვრული რესურსები.
R.2.1.1. რეკომენდებულია, გაიმიჯნოს დამფუძნებლის ფუნქციები აღმასრულებელი და მმართველობითი პოზიციებისგან.
R.2.1.2. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე აირჩიოს აკადემიური პერსონალიდან და არ დაინიშნოს დამფუძნებლის / რექტორის მიერ.
R.2.1.3. რეკომენდებულია, დაბალანსდეს აკადემიური საბჭოს შემადგენლობა და მნიშვნელოვნად გაიზარდოს აკადემიური პერსონალის და სტუდენტების არჩეული წევრების პ როპორცია.
R.2.1.4. რეკომენდებულია, განახლდეს ორგანიგრამა და მასში აისახოს ყველა მნიშვნელოვანი პოზიციები და სტრუქტურა, იმისათვის, რომ უზრუნველყოთ დაწესებულების მმართველობის და მართვის სტრუქტურის გამჭვირვალობა და სიცხადე.
R.2.1.5. რეკომენდებულია, განახლდეს ფაკულტეტის დებულებები და ოფიციალურად განისაზღვროს დეკანის მოადგილის თანამდებობა, დაზუსტდეს აღნიშნული პოზიციის პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულება.
R.2.1.6. რეკომენდებულია, განხორციელდეს პოზიციების გადაფარვის სისტემატური ანალიზი და სადაც შესაძლებელია, მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი აღნიშნული გამეორებები, განსაკუთრებით ისეთ პოზიციებზე, სადაც მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი მონიტორინგი და შეფასება.

R.2.1.7. რეკომენდებულია, კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავებით გაიზარდოს საერთაშორისო პროექტების რაოდენობა და დაკავშირებული აქტივობები.
R.2.1.8. რეკომენდებულია, სამიზნე ნიშნულების განსაზღვრით, მნიშვნელოვნად გაიზარდოს როგორც გამავალი, ისე შემომავალი მობილობის მასშტაბი.
R.2.1.9. რეკომენდებულია, ადმინისტრაციული პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის გასაუმჯობესებლად შემუშავდეს ინგლისური ენის სასწავლო კურსი, რაც ხელს შეუწყობს კომუნიკაციის გაუმჯობესებას და უნივერსიტეტში ინგლისურენოვანი პროგრამების ადეკვატურ განხორციელებას.
R.2.2.1. რეკომენდებულია, იდენტიფიცირებულ სისუსტეებზე მუშაობა კონკრეტული და სისტემური ჩარევების გზით და არა დეკლარირებული განცხადებებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ნათელი კავშირი მიღებულ უკუკავშირსა და კონკრეტულ გადაწყვეტილებების შორის.
R.2.2.2. რეკომენდებულია, მონიტორინგის მიდგომის გაფართოება და ისეთი კომპონენტების დამატება, როგორიცაა ინდივიდუალური პროგრესის შესწავლა, ადრეული გაფრთხილების სისტემის დანერგვა და მონაცემებზე დაფუძნებული ჩარევების შემოღება, სტუდენტთა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.
R.2.2.3. რეკომენდებულია, მხოლოდ ფორმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებიდან ხარისხის რეალურ კულტურაზე გადასვლა, ხარისხის გაუმჯობესების ციკლების სრული დოკუმენტირებით.
R.2.2.4. რეკომენდებულია, დაინერგოს მონიტორინგის ელექტრონული სისტემა და სწრაფად მოგვარდეს ელექტრონული რესურსების გამოყენების მიმართულებით არსებული კრიზისი.
R.2.2.5. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სრულად დანერგოს სტუდენტური კონტინგენტისა და პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია და ასევე, უზრუნველყოს მისი სისტემური მონიტორინგი.
R.3.1.1. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს და ოფიციალურად დანერგოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების სრული და ყოვლისმომცველი პოლიტიკა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი პრაქტიკული გამოყენება ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად და სტუდენტების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. უნივერსიტეტმა ასევე უნდა უზრუნველყოს შესაბამისი პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირება და გადამზადება, რათა მათ ეფექტურად შეძლონ ამ მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენება.
R.3.2.1. სტომატოლოგიის ინგლისურენოვან და რუსულენოვან პროგრამებში ყველა სავალდებულო კლინიკური საგნის სავალდებულო წინაპირობად უნდა განისაზღვროს ქართული ენა. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს განუვითარდებათ პაციენტებთან კომუნიკაციის კომპეტენციები და დაიცავენ უსაფრთხო და ეფექტური კლინიკური პრაქტიკის განხორციელებისთვის დადგენილ სტანდარტებს, სტომატოლოგიური განათლების დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.
R.3.3.1. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ ყველა სტუდენტი ფასდებოდეს სამართლიანი, გამჭვირვალე და თანმიმდევრული საგამოცდო მეთოდოლოგიებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს წერით გამოცდებს ერთსა და იმავე საგნის ფარგლებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების კრიტერიუმების, ფორმატისა და ქულის მინიჭების სტანდარტების ერთგვაროვნება სტუდენტთა სხვადასხვა ჯგუფებში.
R.3.3.2. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს საგამოცდო პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის ოფიციალური პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკის საშუალებით უნდა განისაზღვროს მკაფიო პროცედურები და გონივრული სივრცეები ფინალური გამოცდებისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანასწორობა, ინკლუზიურობა და შესაბამისობა აუკეთესო საერთაშორისო საგანმანათლებლო პრაქტიკების სტანდარტებთან.

R.3.3.3. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ყველა კლინიკურ კურსზე შეიმუშაოს და დანერგოს შეფასების ნათლად განსაზღვრული ჩარჩო, განსაკუთრებით OSCE გამოცდის სტრუქტურის, მიზნისა და შეფასების რუბრიკების დასაზუსტებლად. აღნიშნული ჩარჩო უნდა უზრუნველყოფდეს შეფასების გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და შესაბამისობას სტომატო ლოგიის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან.

R.3.3.4. რეკომენდებულია, სილაბუსებში მკაფიოდ იკვეთებოდეს ზუსტი მითითებები, რომლებიც განასხვავებს პაციენტებზე შესასრულებელ კლინიკურ პროცედურებსა და სიმულაციურ მოდელებზე/ფანტომებზე შესასრულებელ მანიპულაციებს. ასევე, აუცილებელია განისაზღვროს საჭირო კლინიკური პროცედურების მინიმალური რაოდენობა, რომელიც სტუდენტებმა უნდა შეასრულონ, რათა მოსალოდნელ კომპეტენციებს მიაღწიონ.

R.4.1.1. რეკომენდებულია გაფართოვდეს პარტნიორობა საერთაშორისო აკადემიურ ინსტიტუციებთან და გაიზარდოს დაწესებულების პროგრამების ხილვადობა გლობალურ პლატფორმებზე.

R.4.1.2. რეკომენდებულია, მიზნობრივი კომუნიკაციის განხორციელება, ადაპტირების გამარტივებული პროცედურების დანერგვა და გლობალურ აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისი სტიმულების გამოყენება საერთაშორისო პერსონალის ჩართულობის გაზრდის მიზნით.

R.4.1.3. რეკომენდებულია, დაჩქარდეს შიდა საგრანტო კონკურსებისა და კვლევითი განვითარების სემინარების განხორციელება.

R.4.1.4. რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგისა და ანგარიშგების სისტემები, საქმიანობაზე დაკვირვების, სამუშაო დატვირთვის მართვისა და სტრატეგიული გეგმის განხორციელებისათვის საჭირო ციფრული ინსტრუმენტების სრული ინსტიტუციონალიზაცის საშუალებით.

R.4.1.5. რეკომენდებულია, პერსონალის შეფასების შედეგები უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს დაწინაურებას, წახალისების მექანიზმებსა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს, რათა გაიზარდოს მოტივაცია და პასუხისმგებლობა.

R.4.1.6. რეკომენდებულია, შეიქმნას ტალანტების განვითარების ცენტრალიზებული ოფისი ან გაფართოვდეს უწყვეტი განათლების ცენტრის ფუნქციები კარიერული გზების დაგეგმვის, ლიდერული უნარების განვითარებისა და მემკვიდრეობის სტრატეგიების მიმართულებებით.

R.4.1.7. რეკომენდებულია, გაძლიერდეს ადმინისტრაციული პერსონალის წახალისების სისტემები, კარიერული განვითარების გზები და ჩართულობის მექანიზმები.

R.4.2.1. რეკომენდებულია, სამუშაო დატვირთვის განაწილების მოდელი ისე განისაზღვროს, რომ უფრო ნათლად იყოს შესაძლებელი სასწავლო, კვლევითი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობების გამიჯვნა.

R.4.2.2. რეკომენდებულია, შემუშავდეს სამუშაო დატვირთვის პოლიტიკა, რომელიც გაითვალისწინებს კვლევითი ჩართულობის სხვადასხვა დონეებს.

R.4.2.3. რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემა კვლევითი მეტრიკების: პუბლიკაციების, ციტირებების, კონფერენციებში მონაწილეობის ინტეგ რირებით პერსონალის შეფასების პროცესში.

R.5.2.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააფართოვოს სტუდენტების საერთაშორისო გაცვლითი და მობილობის პროგრამები და გაზარდოს ცნობიერება და მოტივაცია აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობისთვის.

R.6.1.1. რეკომენდებულია, დაწესებულების ძირითადი კვლევითი პრიორიტეტების მკაფიოდ განსაზღვრა, რაც დაკავშირებულია სპეციალურ კვლევით ინფრასტრუქტურასთან და შესაძლო დაფინანსებასთან.

R.6.1.2. რეკომენდებულია, კვლევისა და განვითარების ისეთი აქტივობების გაძლიერება, რომლებიც მიზნად ისახავს ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე სამეცნიერო, სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას.

R.6.1.3. რეკომენდირებულია, ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობა და ერთობლივი კვლევითი და განვითარების აქტივობების განხორციელება, რომელთა მიზანიც იქნება ახალი ცოდნის შექმნა და სხვა ინოვაციური განვითარების ხელშეწყობა.
R.6.2.1. ~რეკომენდებულია კვლევის ჩატარების, კონფერენციებში მონაწილეობის, სტატიების, მონოგრაფიების გამოქვეყნებისა და სხვა კვლევასთან დაკავშირებული აქტივობებისთვის ხელმისაწვდომი ფინანსური მხარდაჭერის წახალისების (და შესაბამისად, პროდუქტიულობის) გაზრდა.
R.6.2.2. რეკომენდებულია, კვლევის ინტერნაციონალიზაციის გასაძლიერებლად, საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან და ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა.
R.6.2.3. რეკომენდებულია, ევროკავშირის სამეცნიერო-კვლევით პროგრამებზე ან სხვა შესაბამისი დაფინანსების შესაძლებლობების მოძიებაზე მუშაობა, საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან ინსტიტუციური თანამშრომლობის გაზრდა და სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვა.
R.6.3.1. რეკომენდებულია, რომ უსდ რეგულარულად აქვეყნებდეს ანგარიშებს განხორციელებული კვლევითი საქმიანობის შესახებ.
R.6.3.2. რეკომენდებულია კვლევის შეფასების მონაცემების საფუძვლიანი ანალიზი, რათა ეფექტურად დაიგეგმოს ხარვეზების აღმოფხვრისკენ მიმართული ზომები.
R.7.1.1. რეკომენდებულია, სრულად ადაპტირებული გარემოს უზრუნველსაყოფად, შენობაში არსებული მცირე ფიზიკური ბარიერების მოხსნა.
R.7.1.2. რეკომენდებულია, რომ გამოყენების დეტალური ინსტრუქციები დაერთოს ყველა იმ ადგილს, სადაც დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების აღჭურვილობა.
R.7.1.3. რეკომენდებულია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის განკუთვნილი სანიტარული კვანძი სათანადოდ გარემონტდეს და სრულად შეესაბამებოდეს ხელმისაწვდომობის სტანდარტებს.
R.7.1.4. რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს უნივერსიტეტის სტომატოლოგიური კლინიკისთვის ლიცენზიის მოპოვებას. ლიცენზირება აუცილებელია სტომატოლოგიის თითოეული პროგრამისთვის ქართული, ინგლისური და რუსული ენების სტუდენტების კვოტის დაგეგმილი ზრდის მხარდასაჭერად თითო პროგრამაზე 250 სტუდენტამდე, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ კლინიკური სწავლება ჩატარდეს პროფესიული სტანდარტების შესაბამისად აკრედიტებულ და რეგულირებად დაწესებულებებში.
R.7.2.1. განავითარეთ ბიბლიოთეკის კომპიუტერული და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა.
R.7.2.2. აამაღლეთ ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების შესახებ ცნობიერება და ხელი შეუწყეთ მათ აქტიურ გამოყენებას.
R.7.4.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია.
R.7.4.2. რეკომენდებულია, გაძლიერდეს ბიუჯეტირების პროცესში უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
•არა
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
•არა
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
მარლისა როსმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ფუნქციონირებს 1995 წლიდან და ეს არის ის უნივერსიტეტი, რომელიც მხოლოდ ხელოვნების მიმართულებით ახორციელებს სწავლებას. უნივერსიტეტს ჰყავს 512 სტუდენტი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე. დაწესებულებას ჰყავს 44 აკადემიური პერსონალი, 100 მოწვეული სპეციალისტი და 102 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისობაშია ECTS, ასევე ძალიან ნათლად არის გაწერილი სწავლის შედეგები და ყოველწლიური შეფასების ფორმები. პროცედურებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია საჭიროებს ერთგვარ გაძლიერებას. ამასთან, ნაშრომებთან მიმართებითაც არის კონკრეტული პროცედურული საკითხები დასახვეწი. თუმცა, საერთო ჯამში, პროგრამები შესაბამისობაშია სტანდარტებთან. თვითონ ხარისხის უზრუნველყიფა ხდება PDCA შესაბამისობაში. მონიტორინგი ტარდება მტკიცებულებებზე დაყრდნობით და გამოკითხვის სისტემაში ჩართულები არიან დაინტერესებული მხარეები. ხარისხის უზრუნველყოფა შესაბამისობაშია სტრატეგიასთან, თუმცა საჭიროა KPI მიმართებით განვითარება. რაც შეეხება სტუდენტთა გამოცდილებას , მათ კარგად იციან თავიანთი უფლებებისა და შეფასების სისტემის შესახებ. ასევე, ისინი გათვიცნობიერებულნი არიან, რომ მათ აქვთ კონკრეტული საკითხების გასაჩივრების უფლება. ასევე, ინსტიტუცია ზედმეიწევნით ახორციელებს სტუდენტთა მხრიდან მიღებული უკუკავშირის დამუშავებას და შემდეგ ამის შედეგად კონკრეტული პროცესების დახვეწას. ნათელია HR პოლიტიკა ინსტიტუციაში და ის უზრუნველყოფს იმას, რომ სამუშაოდ აიყვანოს მხოლოდ მაღალკვალიფიციური თანამშრომლები. თანამშრომლების შერჩევის დროს ძირითადი აქცენტი ხდება პროფესიულ კომპეტენციაზე. მცირე გაუმჯობესება შეიძლება შეფასების სისტემის უფრო ნათლად გაწერის საკითხში. რაც შეეხება კვლევის ნაწილს, სახალხო პროფილთან მიმართებით ინარჩუნებს თავის საქმიანობას. ინსტიტუცია მხარს უჭერს კომფერენციებს, პუბლიკაციებსა და სხვადასხვა შემოქემდებით ღონისძიებებს. ამ ნაწილშიც შესაბამისობაშია ინსტიტუციის საქმიანობა სტანდარტთან, თუმცა არათანმიმდევრული დაგეგმარება აქვს თვითონ მკვლევარი პერსონალის შერჩევისას, მონიტორინგის კუთხითაც გამოიკვეთა დასახვეწი მხარეები. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, ძალიან უსაფრთხო გარემო არის შექმნილი სტუდენტებისთვის. პროგრამის საჭიროებებს შეესაბამება ის აღჭურვილობა, რაც აქვს დაწესებულებას. თუმცა, სამედიცინო ოთახში არ არის ცხელი წყალი. ბიბლიოთეკა თანამედროვე ლიტერატურით არის აღჭურვილი და განახლებული აქვთ აიტი მიმართულება. რაც შეეხება ფინანსებს და მდგრადობას, ის სტრატეგიულ გეგმას შეესაბამება, არის სტრუქტურული და გასაგები. ბიუჯეტის აღსრულება გაუმჯობესებულია პანდემიის შემდეგ. არსებობს ძალიან მკაცრი კონტროლის მექანიზმები და შეინიშნება სტაბილური განვითარება. ბიუჯეტიდან ყველაზე დიდი ხარჯი არის თანამშრომლების ანაზღაურება. საერთო ჯამში, ავტორიზაციის სტანდარტებს შეესაბამება უნივერსიტეტი. გასაუმჯობესებელი მხარეებია: სტრატეგიული და პროგრამული დაგეგმარება, კვლევის მართვა და დაგეგმარება, KPI-ზე დაფუძვნებული მონიტორინგის წარმოება, სამაგისტრო დონეზე ტრენინგების უზრუნველყოფა და პერსონალის განვითარება. უნივერსიტეტს გააჩნია გაუმჯობესების რესურსი.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულებას არ წარუდგენია პოზიცია.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
რიმა ბერიაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა KPI-თან მიმართებით, რო მელიც რამდენიმეჯერ ახსენა თავმჯდომარემ, უფრო მეტად განემარტა რა იგულისხმა და რაში მდგომარეობდა გამოწვევა.

მარლისა როსმა განმარტა, რომ გაზომვადი ფაქტორები უნდა დაემატოს, რომლითაც მოხდება წარმატების გაზომვა.
სხდომის თავმჯდომარემ, ზურაბ ორჯონიკიძემ, გამოაცხადა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 11:38
დასრულების დრო: 11:42
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების, ერთ წელში დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენისა და სტუდენტთა ადგილების სრული ზღვრული რაოდენობის 90 0-ით განსაზღვრის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
ძ ი რ ი თ ა დ ი ს ა ბ ჭ ო - მ ო მ ხ რ ე: 11
წინააღმდეგი: 0

მ ო წ ვ ე უ ლ ი ს ა ბ ჭ ო - მ ო მ ხ რ ე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის და მე-5 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტს (დაწესებულების სახე - უნივერსიტეტი;(ს/კ: 245628496) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების სრული ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900-ით და რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 1 წელი, 2026 წლის 01 დეკემბერი.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

კომპონენტი 1.2 - სტრატეგიული განვითარება:

- რეკომენდებულია, შემუშავდეს სტრატეგიული გეგმის კომპონენტები, მათ შორის SWOT ანალიზის ცვლადები (ფაქტორები) და სამოქმედო გეგმა, სიცხადის, თანმიმდევრულობის და მეთოდოლოგიური სიზუსტის უზრუნველსაყოფად.

- რეკომენდებულია, დაინტერესებული მხარეები აქტიურად მონაწილეობდნენ სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში - მათ შორის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და სხვა შესაბამისი მხარეები - იმისათვის, რომ გაძლიერდეს გეგმის რელევანტურობა, მიკუთვნებულობის განცდა და პრაქტიკული გამოყენება.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განსაზღვროს მისაღები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა ხელმისაწვდომი რესურსების, აკადემიური პერსონალის და სტუდენტების თანაფარდობის და პროგრამის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ვესტანდარტი 2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა:

- რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და განახორციელოს მექანიზმები სტრა ტეგიული მიზნების მიღწევის მიმართ უნივერსიტეტის პროგრესის შესახებ რეგულარული კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის სტუდენტებთან, თანამშრომლებთან, პარტნიორებთან და ფართო საზოგადოებასთან, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ანგარიშვალდებულება, ჩართულობა და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება.

- რეკომენდებულია, ბიზნესის უწყვეტობის გეგმის შემუშავება, რათა განისაზღვროს გეგმის აქტივაციის პროცედურები და მხარეთა როლები კრიზისის გამოცხადებისას.

- რეკომენდებულია, ბიზნესის უწყვეტობის გეგმაში შემუშავდეს კონკრეტული კომუნიკაციის პროტოკოლები და პასუხისმგებლობები.

- რეკომენდებულია, ბიზნესის უწყვეტობის გეგმის შემდგომი განვითარება, რათა განისაზღვროს აღდგენის სამიზნეები, აღდგენის ჩარჩო, აკადემიური უწყვეტობის გაუმჯობესებული დაგეგმვა, უკეთესი ტექნოლოგიური და მონაცემთა დაცვის ზომები

კომპონენტი 2.2 - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დოკუმენტურად ასახოს და ყოველწლიურად გადახედოს მისაღები სტუდენტების რაოდენობის ზღვრებს, რომ ყველა სტუდენტს ჰქონდეს წვდომა მაღალი ხარისხის განათლებაზე და სწავლის შედეგებზე.

კომპონენტი 2.3 - ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პლაგიატის გამოვლენის ძირითადი ინსტრუმენტის სახით უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამებში Turnitin - ის სისტემატური გამოყენება.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ჩაატაროს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სავალდებულო ტრენინგი Turnitin - ის გამოყენებასთან და მსგავსების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რომ ყველა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომი შემოწმდეს მონიტორინგის მექანიზმების გამოყენებით.

კომპონენტი 3.1 - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება:

- რეკომენდებულია, „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების" დოკუმენტში დეტალურად აღიწეროს თითოეული ეტაპი: საგანმანათლებ ლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, შეფასება და განვითარება, გაუქმება და სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება.

კომპონენტი 3.3 - სწავლის შედეგების შეფასება:

- რეკომენდებულია, დაწესებულების მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი დაიხვეწოს ისე, რომ მკაფიოდ განსაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, ასევე შეფასებისა და განვითარების ეტაპები.

- რეკომენდებულია, გადაიხედოს და ცვლილებები შევიდეს „ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ და ცალკეულად შემუშავდეს მაგისტრატურის დებულება, რაც მეტ სიცხადეს უზრუნველყოფს.

კომპონენტი 4.1 - პერსონალის მართვა:

- რეკომენდებულია, უფრო ცხადი გახდეს პერსონალის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები და თანამშრომლებისთვის მიწოდებული იყოს კონკრეტული, პრაქტიკული უკუკავშირი, რაც გააძლიერებს მათ პროფესიულ განვითარებასა და მოტივაციას.

- რეკომენდებულია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობისთვის განისაზღვროს დამატებითი სამიზნე ნიშნულები, დარგის სპეციფიკის, სტუდენტთა მიღების მიმდინარე და დაგეგმილი მაჩვენებლების, ასევე, პერსონალის კატეგორიების გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს პერსონალის მიერ სათანადო მოცვა და პროგრამის ხარისხი.

- რეკომენდებულია, შემუშავდეს პერსონალთან კომუნიკაციის ფორმალური მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების, რეკომენდაციებისა და აღიარების მათთან უკეთ მიტანას, ელ.ფოსტის გზავნილების მიღმა, რაც გაუმჯობესებს პროცესის სიცხადესა და ჩართულობას.

კომპონენტი 4.2 - აკადემიური / სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა:

- რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალისთვის სამუშაო დატვირთვის დაგეგმვის, მონიტორინგის და შესრულების მოლოდინების გაცნობის მიზნით, ჩატარდეს რეგულარული სამუშაო შეხვედრები და საინფორმაციო სესიები.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მკაფიოდ განსაზღვროს და აკადემიურ პერსონალს გააცნოს სამუშაო დატვირთვის შესრულებასთან დაკავშირებული პროცედურები და შედეგები.

- რეკომენდებულია ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალს შორის შიდა კომუნიკაციის გაძლიერება, რათა გაიზარდოს სამუშაო დატვირთვის მართვის გამჭვირვალობა და ეფექტიანობა.

კომპონენტი 5.2 - სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები:

- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოს კორპორატიული (საუნივერსიტეტო) ელექტრონული ფოსტის შექმნა და მისი გამოყენება ოფიციალური კომუნიკაციისთვის. ეს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს ინფორმაციის მიწოდების უსაფრთხოებასა და ეფექტიანობას.

- რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ შეიმუშაოს და განახორციელოს მიზნობრივი საინფორმაციო კამპანიები და ტრენინგები (განსაკუთრებით სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისათვის) უნივერსიტეტში ხელმისაწვდომი სამეცნიერო ბაზების, საბიბლიოთეკო რესურსებისა და მათი ეფექტური გამოყენების შესახებ.

- რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის პრიორიტეტის განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტმა გაამლიეროს არსებული შესაძლებლობების (გაცვლითი პროგრამები, პროექტები) შესახებ ინფორმაციის მიწოდების გზები და დანერგოსსტუდენტთა აქტივობის წახალისების ეფექტური მექანიზმები.

კომპონენტი 6.1 - კვლევითი საქმიანობა:

- რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისობა ინსტიტუციის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებთან, რაც მხარდაჭერილი უნდა იყოს ნათლად განსაზღვრული ბიუჯეტითა და ფინანსური მოთხოვნებით.

- რეკომენდებულია, სათანადო რეგულაციაში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული საშემსრულებლო პროგრამებში სამაგისტრო პროექტის კვლევითი კომპონენტის მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები.

კომპონენტი 6.2 - კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია:

- რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ განაახლოს სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგიის დოკუმენტი და შესაბამისობაში მოიყვანოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებთან.

კომპონენტი 6.3 - კვლევითი საქმიანობის შეფასება:

- რეკომენდებულია, რომ მკაფიოდ განისაზღვროს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის კოორდინირების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სტრუქტურული ერთეულებისა და მართვის ორგანოების ფუნქციები და მარეგულირებელი დოკუმენტაცია შესაბამისობაში მოვიდეს რეალურ პრაქტიკასთან.

- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტში გაუმჯობესდეს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის პირობები (მათ შორის დაფინანსება).

კომპონენტი 7.1 - მატერიალური რესურსები:

- რეკომენდებულია, რომ პირველადი დახმარების სამედიცინო ოთახი აღიჭურვოს ცხელი წყლით, რათა შესაძლებელი იყოს სამედიცინო და სანიტარული პროცედურების ჩატარება ოპტიმალურ პირობებში.

- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტში შეიქმნას სასადილო, რათა სტუდენტებს კამპუსზე ჰქონდეთ კვების ხელმისაწვდომი და კომფორტული სივრცე.

კომპონენტი 7.2 - საბიბლიოთეკო რესურსები:

- რეკომენდებულია, საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამების უფრო ეფექტური მხარდაჭერისთვის, უნივერსიტეტმა განაახლოს და გაამრავლოს სახელოვნებო მიმართულებების ელექტრონულ რესურსებზე წვდომა.

კომპონენტი 7.4 - ფინანსური რესურსები:

- რეკომენდებულია, ბიუჯეტში გაძლიერდეს კვლევისა და შემოქმედებითი აქტივობების მდგრადი განვითარების მიმართულებით სახარჯო კომპონენტი.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს გააცნო შუამდგომლობა, რომ დღესვე შესულიყო ძალაში საბჭოს გადაწყვეტილება ორივე საკითხთან მიმართებით.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 1 დეკემბრის 11:45 სთ-ზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
სხდომის მდივანი
გურგენიძე მიხეილ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
თავმჯდომარის მოადგილე
ორჯონიკიძე ზურაბ